

ქართულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ სპეციალური გამოცემა



ქართულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ სპეციალური გამოცემა

20 მაისი
2010 წელი

30 მაისი - აღმოსავლეთი თეთრწყაროს რაიონის დღე

ამ დღეს გადაწყდება, სამომავლოდ როგორ საკრებულოს არჩევს საზოგადოება. 2006 წლის არჩევნების მონაცემებით, საკრებულოს 1590 წევრთა შორის მხოლოდ 177 იყო ქალი (11%). როგორი თვითმმართველობა გვინდა საქართველოში? ეს ჩვენზეა დამოკიდებული, ამიტომაც უნდა მივცეთ ხმა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელშიც ქალები და მამაკაცები თანაბრად იქნებიან წარმოდგენილნი. თანასწორობა წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მოღვაწეობის თანაბარ შესაძლებლობებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თანასწორობა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას. თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობისაკენ, უწინარესად, ქალები ისწრაფვიან და ფონდი „სოხუმის“ გამოცდილება ამის მაგალითია.

ფონდმა „სოხუმი“ არჩევნებამდე გარკვეული სამუშაო ჩაატარა საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზაციისათვის, მეტი კანდიდატი ქალის წარსადგენად საარჩევნო სიებში. ამომრჩეველ ქალთა ლიგა აქტიურად მუშაობს ამ ქალთა მხარდასაჭერად. საკრებულოს წევრობის კანდიდატთა შორის ამჯერად ადრინდელზე მეტი ქალია. ზოგი მათგანი ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრია. ჩვენი მონაცემებით:

- ზუგდიდში კანდიდატებს შორის ჩვენი კლუბის ოთხი წევრია: **ნონა თოლორაია** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- ნანა ხუფენია** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- მანანა თოდუა** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- ელზა კვარაცხელია** - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ოზურგეთში ორი კანდიდატია ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი: **ირინა საჯაია** - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- მარინა სუნგულია** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)

- წყალტუბოში ადგილობრივი თვითმმართველობის წევრობის კანდიდატთა შორის ოთხი - წყალტუბოს ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრია: **მაია შალამბერიძე** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- ნანა იოსელიანი** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- ნონა კვარაცხელია** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- სოფიკო ჯურსაძე** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- მზია კიკელიძე** - თორთაძე - დემოკრატიული პარტია

- კლუბის სამი წევრია ქუთაისის საკრებულოს წევრობის კანდიდატთა შორის: **ნატო ქათამაძე** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- ნათელა ცეცხლაძე** - „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
- ლია ვაშაქიძე-გვენეტაძე** - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება

- ხობში ერთ-ერთი კანდიდატია ამომრჩეველ ქალთა კლუბის ლიდერი - **მანანა მულაია** - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და კლუბის ორი წევრია: **მანანა დოლბაძე** - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ხატია ოჩიგავა** - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ფონდში კანდიდატთა შორის ერთ-ერთი არის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი **დარეჯან ცხვიტარია** - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

ბათუმში კი ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი **ნაზიბროლა ქობულაძე** - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება

გთავაზობთ მოკლე ინფორმაციულ ცნობებს მათ შესახებ (სამწუხაროდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ინფორმაცია ზოგიერთი კანდიდატის შესახებ არ გავაყენებთ).

ჩვენ მოვუწოდებთ ამომრჩეველებს, ხმა მისცენ ღირსეულ კანდიდატ ქალბატონებს!

ათენის დეკლარაციის (1992) თანახმად, ქალები ფლობენ კაცობრიობის ნიჭისა და უნარ-ჩვევების ნახევარს და მათი არასაკმარისი მონაწილეობა განაწილებების მიღების პროცესში დანაკარგია მთელი საზოგადოებისთვის. მაშინ, როდესაც ქალები წარმოდგენენ კაცობრიობის 50%-ს, ეროვნულ მთავრობებში ისინი მხოლოდ 15%-ს შეადგენენ. რაც უფრო მეტი ქალი მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში — როგორც ამომრჩეველი, პოლიტიკური პარტიის ლიდერი ან სახელისუფლებო თანამდებობის პირი - მით მეტადაა სახელმწიფო პოლიტიკაში ასახული ქალთა პრობლემები და პერსპექტივები.

მსოფლიო სტატისტიკა:
- 2008 წელს პარლამენტის წევრთა 18,4% (11,5% - 1995 წ.) ქალია.
- ქალია 17 ქვეყნის პირველი პირი (სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაური)
- კვოტირების სისტემა მოქმედებს 95 ქვეყანაში, მათ შორის 22 ქვეყანაში - 30-პროცენტული კვოტა.

საქართველოში 2006 წლის არჩევნების შედეგებით

| | |
|--------------------|------------|
| საკრებულოს წევრები | 1590 |
| მამაკაცი | 1413 (89%) |
| ქალი | 177 (11%) |

პრეს-რელიზიდან

2009 წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 31 სექტემბრამდე კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED, ვაშინგტონი) ხელშეწყობით ახორციელებს პროექტს „ქალთა მომზადება და მათი შესაძლებლობის გაზრდა პოლიტიკაში რეგიონალურ დონეზე მონაწილეობის ამაღლებისათვის და დასავლეთ საქართველოს ამომრჩეველ ქალთა ლიგის აქტიური მუშაობის მხარდაჭერა“.

გეოგრაფია მოიცავს დასავლეთ საქართველოს ოთხ რეგიონს (იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, გურია).

- პროექტის მიზანია:**
- ❖ ამომრჩეველ ქალთა საქმიანობის ხელშეწყობა და მათი როლის გაზრდა დასავლეთ საქართველოში საარჩევნო პროცესის დემოკრატიზაციაში.
 - ❖ საზოგადოებაში ქალთა როლისადმი გენდერული მიმართებისა და სოციალური აღქმის შეცვლა; ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა თანაბარი მონაწილეობის აუცილებლობის მიმართ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა.
 - ❖ პოლიტიკური პარტიების სიებში მეტი რაოდენობით კანდიდატი ქალების ჩართულობის ლობირება, პარტიებში ქალთა ფრთის მხარდაჭერა და გაძლიერება.

კანდიდატ ქალთა მხარდასაჭერა 27 მაისს ქუთაისში, სეაღსაოპოში, აბთაში, ჯაბრიალში, სოკოში, სოხუმი, ოჯახურად, უფრო მეტი ინფორმაცია მისაღებად

საქართველო 120-ე ადგილზეა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მდგომარეობით. გეზი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისაკენ, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ აიღო, წარმოდგენილია მამაკაცების გვერდით ქალთა თანაბარი მონაწილეობის გარეშე საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობის ყველა სფეროში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ ჩართულობას ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში, რომლის ბედს

უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გადაწყვეტს. სწორედ ამიტომ გვინდა ამომრჩეველ ქალთა მხარდაჭერა მივაპყროთ ღირსეულ ქალ კანდიდატებს, რომლებიც საარჩევნო სუბიექტების პროპორციული სიებითა თუ მაჟორიტარი კანდიდატების სახით წარდგებიან მათ წინაშე. მათ მხარდასაჭერად დასავლეთ საქართველოს ამომრჩეველ ქალთა ლიგა 27 მაისს ქუთაისში, წყალტუბოში, ბათუმში, ზუგდიდში,

ხობში, ხონში, ოზურგეთში, ფოთში აწყობს ქალთა არაპოლიტიკურ მდუმარე აქციას. ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესაცვლელად უკვე არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, თუმცა ის მხოლოდ რიგითი ამომრჩეველის კეთილი ნების არსებობის შემთხვევაში იქნება ეფექტური. მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, მიეცემათ თუ არა ქალ კანდიდატებს საშუალება, თავიანთი ორგანიზატორული ნიჭი, რაციონალურობასა და პრაქტიკულობაზე დაფუძნებული ხედვა

გამოიყენონ ისევ თქვენდა სასიკეთოდ, რამეთუ მათი ორიენტირი, უმეტესწილად, არის ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის სამართლიანობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა ყოველდღიური საჭიროებებისკენ მიმართული საქმიანობა.

ისევ ჩვენი კათილდლორისთვის, ჩვენი ოჯახების უკეთესი მომავლისთვის სხვა მივცით ქალ კანდიდატებს. გავაპოთოთ ჩვენი არჩევანი!

ქეთისი

ჩვენ მოვცული!!!

უმოქმედებას - დასაძმობით!

სიდუხჭირის - კეთილდღეობით!

ქსამატოლმას - სამატოლიანობით!

ნატო ქათაგაძე



დაიბადა ქ. ქუთაისში. 1990 წელს დაამთავრა მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პარალელურად - საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი ურნალისტიკის სპეციალობით.

2000 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და მიიღო ეკონომისტი-მენეჯერის კვალიფიკაცია.

დაამთავრა ლიდერ ქალთა სკოლა, გავლილი აქვს სემინარები კონფლიქტოლოგიაში, გენდერულ საკითხებში, ეკონომიკის საფუძვლებში.

არის საზოგადოებრივი მოძრაობა „ღირსეული მომავლისათვის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარის მოადგილე, ასოციაცია „ქალი და არჩევანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

2005-2009 წლებში რესპუბლიკური პარტიის წევრი, ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე. 2009 წლიდან დღემდე - ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი.

ძვირფასო თანაქალაქნო!

(ამონარიდები ნატო ქათაგაძის წინასაარჩევნო ბიულეტენიდან) 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია - ხალხი, ანუ თქვენ, ირჩევთ თქვენს წარმომადგენელს ადგილობრივ საკრებულოში. თქვენ უკეთ იცით, რა გჭირდებათ და თქვენს მიერ არჩეული წარმომადგენლის საშუალებით ადგილობრივ ბიუჯეტსაც განკარგავთ, ანუ განსაზღვრავთ პრიორიტეტებს, რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის და თქვენი უბნისთვის: სოციალური პრობლემების მოგვარება, შიდა გზები, გარე განათება, გაზიფიცირება, მრავალსართულიანი სახლების სახურავების შეკეთება, ლიფტების პრობლემა... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

გათვალისწინე! შენ ახლა ირჩევ ადამიანს, რომელმაც შენს ხარჯზე კი არ უნდა იცხოვროს და ქალაქის ბიუჯეტის თანხებით კი არ უნდა მოიწყოს თავისი პირადი ცხოვრება, არამედ ოთხი წელი გემსახუროს შენ!

გახსოვდეს! ეს ქალაქი შენი ოჯახია, ამიტომ სერიოზულად მოეკიდე შენს არჩევანს. მაჟორიტარი უნდა იყოს პიროვნება, რომელიც უნდა გახდეს შენი ოჯახის წევრი და შენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი.

გვეროდეთ! ჩვენ, ქალები, ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობაზე ცოტანი იმიტომ კი არ ვართ, რომ სათანადო ცოდნა არ გვაქვს, არამედ იმიტომ, რომ ზედმეტად თვითკრიტიკულები ვართ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, ან ხშირ შემთხვევაში უსამართლობის მსხვერპლნი ვხდებით დემარცხდებით უთანასწორო ბრძოლაში.

გახსოვდეთ! სადაც ქალია ხელმძღვანელი - იქ ნაკლები კორუფცია და კრიმინალია.

მიგულეთ მუდამ თქვენს გვერდით! და ბოლოს, მერწმუნეთ, თქვენ გაიგებთ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მაჟორიტარი დეპუტატი.

თქვენი თანადგმით, თქვენთან ერთად, ღიბსეული ძალადის აღმშენებლობისათვის, ჩემო თანაქალაქელებო!

ლია ვაჟაქიძე-გვენცაძე



დაიბადა 1961 წლის 12 სექტემბერს თერჯოლაში.

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები.

წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად, ტელერადიოკომპანია „რიონში“ საბავშვო, ლიტერატურული და საინფორმაციო პროგრამების მთავარ რედაქტორად, საქალაქო რადიოს ლიტერატურული პროგრამების რედაქტორად, საქართველოს სახალხო დამცველის დასავლეთ საქართველოს რწმუნებულის პრესსამსახურის უფროსად.

არის საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; ლიტერატურული პრემია „ოქროს ქნარის“ ლაურეატი; საზოგადოება „ქუთაისელის“ ქალთა საბჭოს წევრი, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი.

გამოცემული აქვს პოეზიისა და პროზაული ნაწარმოებთა კრებულები („თირზუსი“, „ჯადვარების ველზე ამხედრებული უკვდავება“, „კაცობრიობის ბიბლია“, „სხვა მსოფლიო“).

ამჟამად მუშაობს ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმის უფროს კონსულტანტ-მეცნიერ-თანამშრომლად.

ჰყავს მეუღლე და ვაჟი.

ძვირფასო ქუთაისელებო!

ქუთაისი არ არის უბრალოდ ქალაქი, ამიტომ მას სხვანაირი მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ადგილობრივი თვითმმართველობა არ არის ის სახელისუფლო ბერკეტი, საიდანაც შეიძლება ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიის შეცვლა, მაგრამ აქედან შეიძლება ცენტრალურ ხელისუფლებას მაქსიმუმი მოსთხოვო - ეფექტური რეფორმების გატარება და მნიშვნელოვანი ავტონომიის გარანტია.

მიმაჩნია, რომ ქალაქის ხელისუფლებამ უნდა შექმნას საზოგადოებასთან ურთიერთთანამშრომლობის ისეთი სისტემა, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემს, გარკვეული კონტროლი დაანსოს ადგილობრივ ბიუჯეტზე და ის საკუთარი პრიორიტეტებიდან გამოიძინარე განკარგოს.

ეკონომიკის ცენტრალიზებამ და ეროვნულ შემოსავალში გადასახადების ზრდამ ქვეყნის მოსახლეობა, მათ შორის, ქუთაისის მცხოვრებნიც, გაჭირვების უკიდურეს ზღვრამდე მიიყვანა. მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ იძულებით გადაადგილებულნი, მრავალშვილიანი ოჯახები, უნარშეზღუდული ადამიანები, პენსიონერები, რომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესება ადგილობრივი ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა უნდა გახდეს.

აუცილებელია, ადგილობრივმა ხელისუფლებამ აქტიურად შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და გზა გაუხსნას თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას. უნდა შემცირდეს ადგილობრივი მოსაკრებელიც.

ქალაქის ბაზრებსა და სავაჭრო ცენტრებში მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე, რომელიც ანადგურებს ჩვენს ჯანმრთელობას და ის ჩაანაცვლოს ადგილობრივმა, ეკოლოგიურად სუფთა საკვებმა პროდუქტმა.

ჩემო თანაქალაქელებო, თქვენთან ერთად ვიბრძოლებ, რათა ქუთაისი გადაიქცეს ქალაქად, სადაც ჩვენი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრული რეალიზაცია მოხდება, სადაც მარტო გარეგნული იერსახე კი არ იქნება შეცვლილი, არამედ თითოეული ქუთაისელის პირადი ცხოვრება სასიკეთოდ გარდაიქმნება, ადამიანური და ღირსეული გახდება.

გულწრფელად მჯერა თქვენი თანადგომის ამ ძნელ და საპატიო გზაზე!

ჩვენ თქვენთან ერთად მოვცული!!!

ნათელა ცხესლაძე



დაიბადა 1959 წლის 7 მარტს ქ. ქუთაისში. მამა - ნოდარ ცეცხლაძე, ექიმი - რენტგენოლოგი (გარდაცვლილია), დედა - დარეჯან შავგულიძე - ინგლისური ენის პედაგოგი.

1976 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის №3 საშუალო სკოლა. 1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1985 წლიდან მუშაობს ქუთაისის საექსპლესიო საავადმყოფოში: 1985-1991 წლებში - ექიმ-რეანიმატოლოგად, ხოლო 1992 წლიდან - ექიმ-ენდოკრინოლოგად.

1999 წლიდან არის პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ წევრი. ამჟამად „ახალი მემარჯვენეების“ ქუთაისის ორგანიზაციის ბიუროს წევრი, ამავე ორგანიზაციის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.

არის დიდი დრამატურგის - პოლიკარპე კაკაბაძის დის შვილიშვილი.

პროგრამის ძირითადი ოქროსი

დასაძმება და გიზნის ხელშეწყობა

1. 500 სტიმულირებული მცირე და საშუალო ბიზნესი და 1500 ახალი სამუშაო ადგილი პირველივე წელს
2. ადგილობრივი მუშახელის პრიორიტეტული დასაქმება სახელმწიფო პროგრამებში (პარლამენტის, სამინისტროების, სტადიონების მშენებლობა, გზების რეაბილიტაცია და ა. შ.)
3. სამუშაოს მაძიებელთა სერვისცენტრის შექმნა

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

1. ოჯახის ექიმი - ყველა ქუთაისელს
2. სამედიცინო დაზღვევა - ყველა ქუთაისელს
3. უფასო წამალი (ბავშვებს და ხანდაზმულებს) და იაფი წამალი - ყველა ქუთაისელს
4. უფასო მშობიარობა და ორსულობის პატრონაჟი

ინფრასტრუქტურა

1. ქუთაისის შიდა გზების მონესრიგება
2. ყველა კორპუსში მოქმედი ლიფტი
3. მონესრიგებული საკანალიზაციო სისტემა მთელ ქუთაისში
4. ნარჩენების ეფექტური გატანა კერძო დასახლებიდან
5. ნარჩენების გადამამუშავებელი ქსელის შექმნა უახლოეს 2 წელში.

საქართველო 120-ე აღიარებული ქალთა დღის აღნიშვნის დასახლოებით. 30 ქალი უკუიქონი უსწავლოდ უნდა იქნას!

საინტერვიუ

ერთად - გამაძაჟებინებ!



მანანა შალვაია

დაიბადა 1953 წლის 2 მარტს ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში. დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: სოფელ ძველი ხიბულის საშუალო სკოლის ბიოლოგია-გეოგრაფიის მასწავლებლად, საქართველოს ალკკ ხობის რაიკომის სააღრიცხვო-საფინანსო სექტორის გამგედ, სოფელ ჯაბიშაქრის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ, დირექტორად, სოფელ ბის საშუალო სკოლის დირექტორად. 2006 წელს არჩეულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად. 2006 წლიდან იყო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ბიუროსა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

საარჩევნო პროგრამა

ხელს შევუწყობ სოფელში სტაბილური გარემოს შექმნას. ყოველ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანთან ვითანამშრომლებ და ვიმუშავებ, რათა თითოეულ სადაო საკითხზე მივალწიოთ კონსენსუსს. მხარს დავუჭერ და მივესალმები ყოველ ჯანსაღ ინიციატივას, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის წინსვლასა და განვითარებას. ჩემი საქმიანობა იქნება საზოგადოებისთვის ცნობილი და გამჭვირვალე. უმთავრესი მიზანი - გავამართლო ამომრჩეველთა ნდობა, ვიყო ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებისა და საერთოდ, ქვეყნის სამსახურში. შევეცდები, ავამოქმედო სოფელში არსებული ყველა რესურსი - ინტელექტუალური, პროფესიული, ეკონომიკური, რათა ხელი შევუწყო სოფლის წინსვლას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. გამოვეყოფ ძირითადად პრიორიტეტებს, რომელთა მიხედვითაც წარმართება ჩემი საქმიანობა: • დასაქმების პროგრამაზე მუშაობა, რათა თითო ოჯახიდან თითო კაცი მაინც იყოს დასაქმებული • წყლის პრობლემის მოგვარება • სასოფლო კლუბის რემონტის დასრულება და მისი ამოქმედება • ქალთა პრობლემების შესწავლა, მათთვის დახმარების განევა, სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელება.

საინტერვიუ

ჩვენ ერთად შევძელით წყალფუძის სვლინდელ დღეს!



მაია შალვაია

დაიბადა ქ. წყალტუბოში 1970 წლის 14 ივლისს. 1988 წელს დაამთავრა წყალტუბოს №3 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩააბარა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტში, რომელიც 1994 წელს დაამთავრა. სწავლა განაგრძო საქართველოს ხელოვნებისა და პედაგოგიის უნივერსიტეტში, 1997 წელს მიენიჭა დანყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია. წლების მანძილზე მუშაობდა სოფელ ყუმისთავის არასრულ საშუალო სკოლაში, წყალტუბოს მე-3 საჯარო სკოლაში, წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში. 2004 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ მოძრაობაში. 2006 წლიდან არჩეულია პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ წყალტუბოს ორგანიზაციის თავმჯდომარედ. ჰყავს ორი შვილი.

განსაკუთრებული მტკუნჯელმა - სთქვას!



ნანა იოსელიანი

დაიბადა 1980 წლის 20 აგვისტოს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში. 1996 წელს დაამთავრა ხონის მოსე ხონელის სახელობის №1 საშუალო სკოლა. 2002 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ბიოტექნოლოგის კვალიფიკაციით. პარალელურად სწავლობდა თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ინსტიტუტში „ცოდნა“ იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი და იურისტის კვალიფიკაცია. 2005-2006 წლებში მუშაობდა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოში ჯერ კანცელარიის სპეციალისტის, შემდეგ - სასამართლოს სხდომის მდივნად. ჰყავს მეუღლე.

ჩემი თანაქალაქი!

- წყალტუბოს დავუბრუნებთ თავის ფუნქციას! • დავიცავთ თითოეული წყალტუბოელის საკუთრებას და შევუქმნით ეკონომიკურ კეთილდღეობას! • დავასაქმებთ „ალიანსი საქართველოსათვის“ მიერ შექმნილი ბიზნეს-პროექტით 1500-ზე მეტ წყალტუბოელს! • კონტროლს დავუწესებთ ს/ს „წყალტუბოგაზისა“ და ს/ს „ენერგო-პროჯორჯიას“ სამსახურებს, რათა დაცული იქნას ყველა წყალტუბოელის ინტერესი! • წყალტუბოში ჩასახლებულ დევნილებს ახალმოსახლეობისათვის ხელსაყრელ პირობებს შევუქმნით! • სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფთ ყველა ოჯახს! • ოჯახის ექიმი - ყველა წყალტუბოელს! • უფასო და იაფი წამალი ყველა წყალტუბოელს! • უფასო მშობიარობა და ორსულობის პატრონაჟი! • დახმარება მარტოხელა დედებსა და მრავალშვილიან ოჯახებს! • შეღავათიან მგზავრობას დავანებსებთ ქალაქში მცხოვრები სტუდენტებისათვის • ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარკვეული კონტინგენტის სტუდენტებს (მათ შორის დევნილებს) გადავუხდით სწავლების საფასურის 50%-ს. ღვთის რწმენით ვაშენოთ ჩვენი წყალტუბო!


პროგრამის ძირითადი თეზისები

- დავიცავ თითოეული ჩემი თანასოფელის საკუთრებას. • სოფელს ჩავაბამ დასაქმების პროექტში, რომელსაც ითვალისწინებს „ალიანსი საქართველოსათვის“ ბიზნეს-პროექტი. • სამედიცინო დაზღვევა ყველა ოჯახს, უფასო და იაფი წამალი ყველა ბავშვს. • სამ წლამდე ბავშვებს და 65 წლიდან ხანდაზმულებს - წამალი შეღავათიან ფასში. • უფასო მშობიარობა და პატრონაჟი. • ბიუჯეტში შევიტან ცვლილებებს მარტოხელა დედებისა და მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახების დახმარების მოთხოვნით. • მოვითხოვ სოფლის უზრუნველყოფას გაზით და წყლით. • კონტროლს გავუწევ კომპანია „ენერგო-პრო-ჯორჯიას“, რათა დაცული იქნას მოსახლეობის ინტერესები. • ვიზრუნებ, რომ სოფელს ჰქონდეს კლუბი, ბიბლიოთეკა. • ვიზრუნებ მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეღავათიან მგზავრობაზე. • ვიზრუნებ, რომ სოფლის მოსწავლე ახალგაზრდობას ჰქონდეს ბანაკებში დასვენების შესაძლებლობა. • ვიზრუნებ, რათა სოფლად მცხოვრებ ყველა ოჯახზე გაიცეს მიკროსესხის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. • მოვითხოვ, სახელმწიფოს ხარჯზე შეიქმნას თემის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკი. • ბიუჯეტიდან მოვითხოვ, უზრუნველყოფილ იქნას შინაური ცხოველების უფასო აცრა.

წყალტუბო
ქალთა
განსაკუთრებული
ქუჩის
ერთობაში
განსაკუთრება

ფოტო

განსაკუთრებული კიდევ ბევრია! სტუდენტურულად, ახალი სამსახურების შექმნა, სახლის დასაცავა



ლარია შალვაია

დაიბადა 1958 წლის 23 დეკემბერს ქალაქ ფოთში. 1987 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი, 2004 წელს - ი. ვეკუას სახელობის სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2005 წელს გაიარა ქალთა პოლიტიკური რესურს-ცენტრის ტრენინგი, აშშ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ტრენინგი თემაზე „პოლიტიკაში ქალის როლის შესახებ“, ტრენინგი პოლონეთში „ქალის როლის გაზრდა მმართველობაში და თვითმმართველობაში“. 1987-92 წლებში იყო ილია მართლის საზოგადოების ფოთის გამგეობის წევრი, 1993-2002 წლებში მოძრაობა „ჭყონდიდელის“ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე. 2002 წლიდან არის ნაციონალური მოძრაობის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პოლიტიკური საბჭოს წევრი. 2006 წლის იანვრიდან ნოემბრამდე იყო ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე, ნოემბრიდან კი - საკრებულოს სოციალური კომისიის თავმჯდომარე. ჰყავს სამი ვაჟი.

ზუსტად

ხსოვნა

ჩვენ შევცვლით!!!

უმჯობესებას - დასაქმებით!
სიღატაკის - კეთილდღეობით!
უსამართლობას - სამართლიანობით!



ნონა
თოლოკიაი

დაიბადა 1958 წლის 10 ნოემბერს.
1975 წ. დაამთავრა ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის საშუალო სკოლა; 1979 წ. - თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკური სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტი; 1984 წ.- იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსები სამართალმცოდნეობაში (წარჩინებით); 1996 წ. ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. 2000 წ. წარმატებით ჩააბარა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

მუშაობდა 1980-1999 წწ. ჩაის კომბინატში „ოდიში“, მარტინ ბაუერ - „ოდიში“ იურიდიული განყოფილების უფროსად; 1999-2000 წლებში - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ; 2000-2005 წწ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დოქტორანტი, ასისტენტი პროფესორი.

2007 წლიდან საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

„2000-2006 წწ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ მუშაობისას ჩემს მთავარ კრედიტს წარმოადგენდა პრინციპულობა, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი და უშუალოება. ჩემი ზნეობრივი ფასეულობები მოუღებელი აღმოჩნდა დღევანდელი ხელისუფლებისთვის, რის გამოც მომიხდა

სასამართლოს დატოვება და პოლიტიკური საქმიანობის დაწყება.

გაძლევთ პირობას, რომ ზუგდიდის საკრებულოში არჩევის შემთხვევაში, რაიონში დამკვიდრდება სრულყოფილი თვითმმართველობა; მივალწვეთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თავისუფალ და პირდაპირ არჩევას; მოვიპოვებთ ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვა-ფორმირებისა და განკარგვის სრულ უფლებას; შეიზღუდება სამხარეო ადმინისტრაციის უფლებები; თავად გვექნება ადგილობრივი შემოსავლების განკარგვის უფლება.“

დასაქმების პროგრამა შეიქმნება „საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“, არამომგებიანი ორგანიზაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, რომელიც უზრუნველყოფს საოჯახო და მცირე მეწარმეებს საკრედიტო გარანტიას და სესხის დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ამ ფონდის წყარო იქნება: მუნიციპალური ბიუჯეტის ტრანსფერი; დონორებისაგან მიზიდული სახსრები.

ფონდში აკუმულირებული სახსრების გაცემა მოხდება რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მეშვეობით.

ფონდის საქმიანობის გამჭვირვალობას და ხარისხს შედამხედველობას გაუწევს ფონდის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები იქნებიან როგორც გამგეობის, ისე საკრებულოს წევრები.

მენარმეებისათვის ინტელექტუალური მხარდაჭერა საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით

დამწყები მენარმეების ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის რაიონის მასშტაბით შეიქმნება საკონსულტაციო ცენტრი.

საკონსულტაციო ცენტრში დამწყები მენარმეები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან უფასოდ მიიღებენ კონსულტაციებს ბიზნეს-გეგმის მომზადებისა და მცირე ბიზნესის წამოწყებისათვის საჭირო იურიდიულ, ფინანსურ და მარკეტინგულ საკითხებში.

სოფელი ერის თვითმყოფადობის საძირკველია და არა მხოლოდ საკვები პროდუქტის საწარმო

სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი განვითარებისათვის შესაბამისი პროექტების განხორციელება;

სოფლის მცხოვრებლებს შეეძლება გრძელვადიანი იაფი კრედიტის აღება და ფერმერული ბიზნესის დაწყება სათანადო კონსულტა-

ციებით. შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაზღვევის ეფექტიანი სისტემა.

სტრატეგიული ამოცანები

1. მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის სრულყოფა

2. მოსახლეობის საჭიროებებზე დაფუძნებული მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი მართვა

3. მუნიციპალური ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა

მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად უზრუნველყოფთ:

-სადაზღვევო სისტემით მოსახლეობის სრულ მოცვას;

-სამედიცინო ბაზაზე რეგულირებადი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობას;

-პაციენტთა და სამედიცინო პერსონალის უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამა დაეფუძნება ძირითად პროგრამულ კომპონენტებს:

- ოჯახის ექიმი - ყველა ზუგდიდელს
- სამედიცინო დაზღვევა - ყველა ოჯახს
- იაფი წამალი ყველა ზუგდიდელს
- უფასო წამალი ბავშვებს და ხანდაზმულებს

• უფასო მშობიარობა და ორსულობის პატრონაჟი, თითოეულ ორსულზე 800 ლარიანი ვაუჩერის გაცემით

სოციალური პროგრამა

ჩვენ უზრუნველყოფთ:

- დაკანონდეს სოციალური, მათ შორის, საპენსიო დაზღვევის ტარიფი, სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის ცნებები, სადაზღვევო გასაცემების ოდენობის განმსაზღვრელი ობიექტური მექანიზმი;

- საპენსიო გასაცემელი დამოკიდებული იყოს მხოლოდ ადამიანის სადაზღვევო ისტორიაზე და მოხდეს ამ სფეროს დეპოლიტიზება;

-სახელმწიფო და კერძო საპენსიო დაზღვევის მექანიზმების გონივრული შეხამებით მყარი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის შექმნას.

ადამიანებს ეცოდინებათ, რატომ, რამდენს და ვისგან მიიღებენ პენსიას!

მივალწვეთ, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში მცხოვრებ დევნილებს კერძო საკუთრებაში დაუკანონდეთ დაკავებული ფართები.

პ რ ო გ რ ა მ ა

• ნარაზენში სათათბიროს შექმნა და მისი როლის გაზრდა სოფელში სამოქალაქო საზოგადოებისა და რეალური თვითმმართველობის განვითარებისათვის.

• სოფელ ნარაზენის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი გეგმის შექმნა და მისი ეტაპობრივი შესრულებისათვის გზების ძიება.

• მცირე ბიზნესისა და მენარმეობის განვითარებისათვის ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა, დასაქმების პროგრამაში ახალგაზრდობისა და ქალების ჩასართავად საერთაშორისო დონორების ძიება, არასამთავრობო ორგანიზაციების მჭიდრო კავშირის დახმარებით ადგილზე ტრენინგების მოწყობა.

• სოფლის განადგურებული მწვანე საფარის აღდგენის პროგრამის შექმნა და მისი განხორციელება ეტაპობრივად.

• სოფელში მართლმადიდებლური კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

ჩვენ ვიგბუნებთ!



ნანი
შოველაკი

დაიბადა 1986 წლის 6 ივნისს ქ. ბათუმში. 2002 წელს დაამთავრა ბათუმის №16 საჯარო სკოლა.

2006 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჟურნალისტიკა-ინგლისური ენის სპეციალობით.

უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მუშაობდა გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტად, გაზეთ „ბათუმელის“ სტუდენტურ ჩანართში „51 აუდიტორია“. „რადიო „აჭარაში“ გაიარა რადიოჟურნალისტიკის პრაქტიკული კურსი, იყო უნივერსიტეტის რადიოს ერთ-ერთი პროდიუსერი. სატელევიზიო ჟურნალისტიკის პრაქტიკული კურსი გაიარა აჭარის ტელევიზიის პროექტ „მედიასკოლაში“.

სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა „TV 25“-ის ნამყვანად, კორესპონდენტად.

2009 წლის იანვრიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწედ და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის პრესსპიკერად.

კ ო რ ი უ ნ ე ლ ა

• მუნიციპალური (უფასო) საავადმყოფოს ფუნქციონირების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის, პენსიონერების საარსებო მინიმუმამდე პენსიის დანამატით უზრუნველყოფისათვის. მედიკამენტებზე კომპენსაციების გაცემის, მუნიციპალური ტრანსპორტზე შეღავათების დაწესებისათვის.

• მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით საინვესტიციო ფონდების ჩამოყალიბების და გრძელვადიანი დაბალპროცენტული კრედიტების გასაცემად გარანტიების შექმნისათვის.

• სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ფორმების ყველა მოსწავლეზე უფასოდ გადაცემის, ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერი პროგრამების შემუშავებისათვის.

• ელექტროენერჯის, გაზის, წყლის გადასახადების შესამცირებლად მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისათვის.

სათვის საფიქრებელი ჩემი საფიქრებელი იქნება!



მანანა
თოდუა

დაიბადა 1958 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში, უმაღლესი იურიდიული განათლებით, გაუთხოვარი.

1981 წელს შრომითი საქმიანობა დაიწყო ნარაზენის კოლმეურნეობაში იურისტ-კონსულტანტად. პარალელურად არჩეული

იყო სოფლის ახალგაზრდობის ლიდერად. 1986-1991 წლებში მუშაობდა ზუგდიდის კპ რაიკომის ინსტრუქტორად. 1991-1992 წწ. - ნოტარიუსად. 1992-2005 წწ. ზუგდიდის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების გამგედ.

ამჟამად მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის იურისტად.

არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

ცხოვრებისა და საქმიანობის პრინციპები: ერთგულება, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი.

კანონიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების მაქსიმალური განხორციელება როგორც მთლიანად ზუგდიდის, ისე ნარაზენის ინსტიტუტების შესაბამისად.